# ტრანზიტისას რა დოკუმენტები უნდა წარედგინოს საზღვარზე?

საზღვარზე წარედგინება:

- სატრანსპორტო ზედნადები, ან
- საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები ან TIR- წიგნაკი;
- საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი;
- საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ავიაზედნადები;
- სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები.



საქონლის ნასყიდობის დოკუმენტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება, ან
- ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი), ან
- სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

**შენიშვნა:**

საჭიროების შემთხვევაში დამატებით წარდგენილ უნდა იქნეს ლიცენზია /ნებართვა /სერტიფიკატი (იხ. ნებართვების ჩამონათვალი).

ნებართვები, რომლებიც გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ:

- ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა;
- ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა;
- ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ტრანზიტის ნებართვა;

ნებართვები, რომლებიც გაიცემა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ:

- ბირთვული, რადიაციული ობიექტების, ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებების, რადიაქტიური ნარჩენების, მინერალების (წიაღისეულის), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფრის, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან, ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუების ტრანზიტის ნებართვა.

ნებართვები, რომლებიც გაიცემა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ:

- იარაღისა და საბრძოლო მასალის ტრანზიტის ნებართვა;
- სამხედრო-საბრძოლო იარაღის ტრანზიტის ნებართვა.

ნებართვები, რომლებიც გაიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ:

- უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანისა და საქართველოში გადაადგილების ნებართვა.

შენიშვნა: ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისას დამატებით მოითხოვება იმ ქვეყნის სერტიფიკატი, საიდანაც მოდის საქონელი.

რა ვადაში უნდა წარედგინოს ზემოაღნიშნული დოკუმენტები?

- საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ხოლო გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინერით) გადაადგილებული ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების სამმართველოს სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის გაფორმების განყოფილების დანიშნულებით სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული

სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის გაფორმების განყოფილებაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვისას.

- თუ ზოგადი დეკლარირების ვადაში არ იქნა წარდგენილი შესაბამისი ნებართვა/სერტიფიკატი, დეკლარანტს მათ წარსადგენად ან საქონლის უკან გასატანად დამატებით ეძლევა 3 სამუშაო დღის ვადა, ხოლო საზღვაო გზით შემოტანილ საქონელზე აღნიშნული ვადა ემთხვევა სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადას.
- თუ ზემოაღნიშნულ ვადებში დეკლარანტმა არ წარმოადგინა შესაბამისი ნებართვა/სერტიფიკატი, ან არ განახორციელა საქონლის უკან გატანა, შემოსავლების სამსახური ახორციელებს საქონლის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემას ან განადგურებას.

## რა პროცედურები ხორციელდება საზღვარზე?



საბაჟო გამშვებ პუნქტში მოწმდება:

- მძღოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები;
- სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქის მთლიანობა;
- საჭიროების შემთხვევაში სატვირთო ნაწილზე დაედება დამატებითი ლუქი.

ლუქის დაზიანების შემთხვევაში:

- სატრანსპორტო საშუალება გაიშვება დათვალიერების აქტის მიხედვით;
- ადგილზე დათვალიერების შეუძლებლობისას სატრანსპორტო საშუალება ილუქება და მოწმობით გადაადგილდება დათვალიერების ადგილზე.

შემოტანილ საქონელზე დოკუმენტების არარსებობისას საქონელი ექვემდებარება :

- სავალდებულო დათვალიერებას ან/და
- სინჯის/ნიმუშის აღებას და შესაბამისი აქტის შედგენას, რომლის საფუძველზეც გამოიწერება აღრიცხვის მოწმობა.

შენიშვნა:
ერთი მოწმობა გაიცემა ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მიუხედავად იმისა, ეს ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება თავისი სვლით, თუ გადაიზიდება სხვა სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებით ტრანზიტულად გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამატებით დატვირთვის შემთხვევაში.

## რა ვადებში უნდა მოხდეს საქონლის/სატრანსპორტო საშუალების მიტანა დანიშნულების ადგილზე?

ტრანზიტისას დანიშნულების ადგილზე საქონლის/სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადებია:

- საქონლის გადაადგილებისას – 20 კალენდარული დღე;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების, აგრეთვე ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული, დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის შემთხვევაში – 45 კალენდარულ დღე;

ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის დროებითი შენახვის ადგილიდან დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტის მიმართულებით გადაადგილება განახლდება დროებით შენახვის ვადის გასვლამდე ახალი მოწმობის გაცემით, გარდა შსს-ს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრირებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა.



შენიშვნა: საქონლის ტრანზიტით გადაადგილების დროს წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია საქონლის გადამაადგილებელი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი.

## რა უნდა იცოდეს დამატებით სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა?

- ავარიის ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაციების დროს მძღოლმა უნდა აცნობოს (თუ ეს შესაძლებელია) საბაჟო ორგანოს და იმოქმედოს მისი მითითებების შესაბამისად;
- სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში საქონლის სხვა სატრანსპორტო საშუალებაში (ან სხვა კონტეინერში) გადატვირთვა შესაძლებელია საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ზედამხედველობით, რომელიც ახორციელებს საქტრანსპორტო საშუალების (კონტეინერის) დალუქვას და შესაბამის მონაცემებს აფიქსირებს აღრიცხვის მოწმობაში;
- თუ საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს უახლოეს საგადასახადო ორგანოს და წარუდგინოს მას საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი ჩაითვლება სახელმწიფო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად.

## როგორ ხორციელდება საქონლის დეკლარირება ტრანზიტში?

საქონელი ტრანზიტში დეკლარირდება:

- TIR-წიგნაკით;
- TIR-წიგნაკის არქონის შემთხვევაში - აღრიცხვის მოწმობით, რომელიც ივსება თანმხლები სატრანსპორტო და სხვა დოკუმენტებით;
- შსს-ს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით თავისი სვლით გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალების ან მისაბმელის ან ნახევრადმისაბმელის ან/და ასეთი ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადატანილი დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონლის შემთხვევაში.
- საბაჟო დეკლარაციით:

✓ მილსადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით ტრანზიტით გადაადგილებული საქონელი;
✓ საზღვაო ტრანსპორტით, ტრანზიტით გასატანი საქონელი (გარდა კონტეინერებში და სატრანსპორტო საშუალებებში საქონლისა);
✓ საქონლის მიმართ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია განხორციელდება საბაჟო დეკლარაციის მეშვეობით.

შენიშვნა: საქართველოდან ტრანზიტით გასატან საქონელზე (როცა წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია განხორციელდა საბაჟო დეკლარაციით) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია

წარედგინება გაფორმების იმ ორგანოში, სადაც განხორციელდა წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია და ამავე ორგანოს მიერ გაიცემა მოწმობა.

ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციაში შეიძლება მოექცეს:

- საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი;
- ნებისმიერ სასაქონლო ოპერაციაში (დროებითი შემოტანის, ექსპორტის, შიდა გადამუშავების და გარე გადამუშავების გარდა) მოქცეული უცხოური საქონელი, თუ წარდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.

დანიშნულების ქვეყნის შეცვლის შემთხვევაში საბაჟო გამშვებ პუნქტში წარედგინება:

- დანიშნულების ქვეყნის შეცვლის დამადასტურებელი სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს წინმსწრები სატრანსპორტო დოკუმენტის შესახებ მონაცემები (ნომერი, გაცემის თარიღი).

შენიშვნა: ტრანზიტში დეკლარირებული საქონლის დროებით შენახვისას განაცხადი არ წარედგინება და საქონლის დროებითი შენახვის სახელმწიფო კონტროლი და აღრიცხვა ხორციელდება დამოწმებული მოწმობით ან დეკლარაციით.

## როგორ ხორციელდება TIR წიგნაკის რეგისტრაცია?



***TIR***-წიგნაკის რეგისტრაციის მიზნით გამგზავნი საგადასახადო ორგანო:

- უზრუნველყოფს TIR-წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად მოწმობის ელექტრონულ ფორმატში შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში;
- TIR წიგნაკის მოსახევი (მწვანე) ფურცლის უკანა გვერდი გამოიყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენიშვნების, აღნიშვნებისა და დამღებისათვის, ხოლო საქონლის დაბრუნებისას საგადასახადო ორგანოს მიერ დამღის - „დაბრუნებულია საქონელი" დასმისთვის
- მონაცემთა დადატურების მიზნით ხელს აწერს, მიუთითებს შევსების თარიღს და

სვამს პირადნომრიან ბეჭედს.

საქართველოს საწარმოს საწყობში (შენახვის სხვა ადგილზე) დროებით შენახვისა და იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი, სეს ესნ-ის 8701, 8702, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია) და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული ახალი ან/და 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გადამზიდ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე TIR-წიგნაკს:

- კონტროლიდან ხსნის საბაჟო გამშვები პუნქტი, რომლის გავლითაც ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალება ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას;
- კონტროლიდან მოხსნის მიზნით ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტს წარედგინება სასაქონლო პარტიაში შემავალ ყველა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გაფორმებული საბაჟო დეკლარაციების ეგზემპლარები.

## ტრანზიტის სასაქონლო ოპერაცია დასრულება

როგორ სრულდება საქონლის ტრანზიტი?

- სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წარდგენით და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ფაქტობრივი გატანით;
- საბაჟო გამშვებ პუნქტში შესაბამისი მოწმობის კონტროლიდან მოხსნით და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ფაქტობრივი გატანით;
- საქონლის განთავსებით საწყობში ან დროებითი შენახვის სხვა ადგილას და დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მისი ფაქტობრივი გატანით;
- საქონლისათვის სხვა სასაქონლო ოპერაციის შერჩევით;
- TIR-წიგნაკის წარდგენით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით (ცარიელი სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისას).

ტრანზიტის დასრულება, როგორც წესი, ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, საიდანაც ხდება საქონლის საბაჟო საზღვრის გარეთ გატანა, ხოლო სასაქონლო ოპერაციის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლისას, ან საქონლის გადამისამართებისას – იმ საგადასახადო ორგანოში, სადაც ხდება სასაქონლო ოპერაციის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლა ან საქონლის გადამისამართება.

## სად და როგორ გადავიხადო გზათსარგებლობის საფასური?

ერთი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით სახელმწიფო კონტროლის ქვეშ საქართველოს ტერიტორიის გავლით ტვირთების ტრანზიტულად გადაზიდვისათვის გზათსარგებლობის საფასური შეადგენს 200 ლარს;

გზათსარგებლობის საფასურის გადახდა ხდება 302003277 სახაზინო კოდზე.

სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით ტვირთების ტრანზიტულად ადაზიდვისას ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელი /მძღოლი ვალდებულია, საქართველოს ტერიტორიის დატოვებამდე:

- უზრუნველყოს გზათსარგებლობის საფასურის გადახდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საბანკო დაწესებულებებში, ან
- შეიძინოს გზათსარგებლობის საფასურის ბარათი

სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლმა/მფლობელმა ქვეყნის ტერიტორიის დატოვებისას საბაჟო გამშვებ პუნქტში უნდა წარადგინოს:

- გზათსარგებლობის საფასურის საბანკო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ან
- გზათსარგებლობის საფასურის ბარათი,
- წინააღმდეგ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება ქვეყნის ტერიტორიას ვერ დატოვებს.

საბაჟო გამშვებ პუნქტში სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს/მძღოლს სავალდებულო წესით განემარტება გზათსარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულება გადახდის განსახორციელებლად შესაბამისი მონაცემების მითითებით.

შენიშვნა: გზათსარგებლობის საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე საზღვაო ნავსადგურში არსებული საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე განთავსებული ტვირთის გადაადგილებას საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან უახლოესი 10 კმ-ის რადიუსში მდებარე კონტროლის ზონაში ან პირიქით.

## სად შეიძლება გაფორმდეს საქონელი?

**გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი“**

- ქ. ფოთი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №32
- ქ. ფოთი, შსს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ფოთის განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის)
- ქ. ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. №7, შსს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ზუგდიდის განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის)
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოზურგეთი, შსს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ოზურგეთის განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის)

**გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“**

- გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ.

**გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“**

- გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ (მხოლოდ სასაქონლო პარტიათა ნაკრებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გაფორმებისათვის)

**გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“**

- ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია

**გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი“**

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ადლია, სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 106-ე კმ.
- ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. №11, შსს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ბათუმის განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის)
- ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №11;

## სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის გაფორმების განყოფილება

- თბილისი, გია გულუას ქ. № 4
- ქ. გორი, მოსკოვის ქ. №1, შსს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. გორის განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის)

## თელავის განყოფილება

- ქ. თელავი, ერეკლე II-ის გამზ. №1
- ქ. თელავი, ბიძინა ჩოლოყაშვილის ქ. №21, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. თელავის განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის)

## ახალციხის განყოფილება

- ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №54
- ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი №2, სსიპ – შსს-ს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის)

## ქუთაისის განყოფილება

- ქ. ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №5,
- შსს-ს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ქუთაისის განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის)

## რუსთავის განყოფილება

- ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36;
- შსს-ს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს სარეგისტრაციო განყოფილების შენობა (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმებისათვის).